სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2010 წლის მაისი

2010

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია 6

თავი I.პოლიციის სტატისტიკა.....17

ნაწილი 1 - რეგისტრირებული დანაშაული..... 17

1.1 რეგისტრირებულ დანაშულთა რაოდენობა..... 17

1.2 კვალიფიკაციის შეცვლა..... 26

1.3 გამოძიების შეწყვეტა რეგისტირებული დანაშაულების მიხედვით 29

1.4 ოჯახში ძალადობა 37

ნაწილი 2 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევები 38

2.1 რეგისტრირებული სამართალდარღვევები..... 38

ნაწილი 3 - დაზარალებული პირები..... 40

3.1 დაზარალებულ პირთა რაოდენობა..... 40

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა.....42

ნაწილი 4 - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით.... 42

4.1 სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 42

4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 49

4.3 გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტა..... 53

4.4 სასამართლოში წარმართვა..... 58

ნაწილი 5 - სტატისტიკური ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების მიხედვით 67

5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება..... 67

5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 68

5.3 ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 69

5.4 სასამართლოში წარმართვა..... 70

ნაწილი 6 - არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები და არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები 73

6.1 არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები..... 73

6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ 76

6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ..... 77

6.4 ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ..... 77

6.5 არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სასამართლოში წარმართვა..... 77

თავი III. სასამართლო სტატისტიკა 80

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები..... 81

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები 80

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლისს სამართლის საქმეები 83

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა 83

8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები 84

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები..... 85

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები 85

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით 85

9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა..... 86

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები..... 89

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები..... 93

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით 93

10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით..... 97

თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა 101

ნაწილი 11 – სასჯელაღსრულების დეპარტამენტი - სტატიკური მონაცემები 101

11.1 პატიმართა და მსჯავრდებულთა ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების რაოდენობა დაწესებულებებში.....100

11.2 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით 101

11.3 მსჯავრდებულთა რაოდენობა რეჟიმის მიხედვით 102

11.4 მსჯავრდებულთა და პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შეფარდებით..... 102

11.5 უცხოელი პატიმრები და მსჯავრდებულები 103

11.6 ბრალდებულები..... 104

ნაწილი 11- დინამიკური მონაცემები 105

12.1 სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პატიმართა და მსჯავრდებულთა რაოდენობა თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) შეწყვეტის ფორმის მიხედვით... 105
12.2 რესოციალიზაცია... 106
12.3 დისციპლინური ღონისძიებები... 108
12.4 დაწესებულებებს შორის პატიმართა და მსჯავრდებულთა მოძრაობა... 108
12.5 კრიმინოგენული მდგომარეობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში... 109
ნაწილი 13 - სამედიცინო მდგომარეობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში... 112
13.1 დაავადებები... 112
13.2 მკურნალობა... 116
13.3 გარდაცვალება... 119
ნაწილი 14 - პრობაციის ეროვნული სააგენტო - სტატიკური მონაცემები... 120
14.1 პრობაციონერთა რაოდენობა... 120
ნაწილი 15 - დინამიკური მონაცემები... 122

წინასიტყვაობა

სისხლის სამართლის სტატისტიკის რეფორმის ფარგლებში უწყებათაშორისი კოორდინაციის გზით შემუშავდა სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი, შეთანხმებული მეთოდოლოგია, რაც აისახა უწყებათაშორისი თანამშრომლობის მემორანდუმში სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ. თანამშრომლობის მემორანდუმის მხარეები არიან სისხლის სამართლის სტატისტიკაზე პასუხისმგებელი უწყებები: შინაგან საქმეთა სამინისტრი, იუსტიციის სამინისტრი (პროკურატურა), სასამართლო, სასჯელაღსრულრების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო. [1] მემორანდუმი განსაზღვრავს ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის სტრუქტურას, შინაარს, გამოქვეყნების წესსა და ვადებს. მემორანდუმი ითვალისწინებს ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის გამოქვეყნებას ყოველთვიურად.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შემუშავებული სისხლის სამართლის სტატისტკის ერთიანი ანგარიშის პირველ ნომერს - საანგარიშო პერიოდია 2010 წლის მაისი.

ხაზგასასმელია, რომ ანგარიშის მომზადების პროცესში მიღწეულ იქნა მაქსიმალური უწყებათაშორისი კოორიდნაცია. ამასთან, ერთიანი მეთოდოლოგიის არსებობამ შესაძლებელი გახადა შეუსაბამობების მინიმუმამდე დაყვანა მონაცემების მაქსიმალური თანხვედრის უზრუნველყოფა.

[1] მემორანდუმს ხელი მოეწერა და ძალაშია 2010 წლის 30 აპრილიდან.

მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია

სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში მოიცავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სასამართლოს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებს. აღნიშნული უწყებები ყოველთვიურად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებენ სტატისტიკურ ანგარიშს და გზავნიან სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. სტატისტიკის ეროვნული სამსახური უზრუნველყოფს ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის გამოქვეყნებას.

ქვემოთ დეტალურად არის აღწერილი, თუ რომელი ინდიკატორების მიხედვით წარმოადგენენ უწყებები ინფორმაციას ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში. ასევე განმარტებულია თითოეული ინდიკატორის მნიშვნელობა და გამოყენებული მეთოდოლოგია.

<u>თავი I. პოლიციის სტატისტიკა</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში შსს) სტატისტიკური ანგარიშში პირველი თავი ეთმობა, შსს ერთიან სტატისტიკაში წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში **რეგისტრირებული დანაშაულის** სტატისტიკას. რეგისტრირებული დანაშაული წარმოდგენილია დანაშაულთა კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად, კერძოდ, მოცემულია რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რაოდენობა, მათ შორის, ძალადობრივი დანაშაულები, განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულები. დანაშაულთა სახეობები წარმოდგენილია სისხლის სამართლის კოდექსის თავების შესაბამისად და ცალკე არის გამოყოფილი ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულები.

ერთიანი ანგარიშის მიზნებისათვის შსს აგრეთვე წარმოადგენს ინფორმაციას დაწყებული გამოძიების შეწყვეტისა და კვალიფიკაციის შეცვლის შესახებშესახებ დანაშაულების მიხედვით,[2] ინფორმაცია დაზარალებული პირების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა[3] და ოჯახში ძალადობის[4] ფაქტების შესახებ.

[2] გამოძიების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ორ ნაწილად, პირველ ნაწილში მოცემული იქნება საანგარიშო პერიოდში შეწყვეტილი გამოძიებების მთლიანი მაჩვენებელი დანაშაულების მიხედვით, ხოლო მეორე ნაწილში გამოძიების შეწყვეტა იმ დანაშაულებზე, რომლებზეც გამოძიება დაიწყო საანგარიშო პერიოდში.

[3] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვა მოხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თავებისა და ზოგიერთი გავრცელებული სამართალდარღვევის მიხედვით შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისი ბარათების საფუძველზე.

[4] ოჯახში ძალადობის ფატების სტატისტიკა აღირიცხება გამოცემული შემაკავებელი ორდერების შესაბამისად შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 26 დეკემბრის №1630 და 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანებების საფუძველზე (სააღრიცხვო ფორმა №7ა).

ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში შსს მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიღების წყაროს წარმოადგენს სააღრიცხვო ფორმები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №423 ბრძანებით (28.04.2005წ.).

დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის ფორმებია:

1. წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი (ფორმა №1).
2. დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის აღრიცხვის ბარათი (ფორმა №1ა).
3. წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ან საქმის გადაგზავნის აღრიცხვის ბარათი. (ფორმა №2).
4. დაზარალებულ პირთა მონაცემების აღრიცხვის ბარათი (ფორმა №7).

შსს სტატისტიკური ინდიკატორები ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისათვის აღსარიცხი ერთეულების მითითებით მოცემულია ქვემოთ:

1. **რეგისტრირებული დანაშაული** - აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი - აღირიცხება დანაშაულთა საერთო რაოდენობა, რომლებზეც დაიწყო გამოძიება საანგარიშო პერიოდში დანაშაულთა კატეგორიებისა და ყველაზე მეტად გავრცელებული მუხლების მიხედვით; [5] რეგისტრირებული დანაშაულის მონაცემებში არ შედის ცვლილებები - გამოძიების შეწყვეტა დანაშაულების მიხედვით და დანაშაულთა კვალიფიკაციის შეცვლა რეგისტრირებულ დანაშაულში არ აისახება. აღირიცხება წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის (ფორმა № 1) მიხედვით

2. **კვალიფიკაციის შეცვლა** - აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი - აღირიცხება დანაშაულის გადაკვალიფიცირების შემთხვევები ყველა დანაშაულზე დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის აღრიცხვის ბარათის (ფორმა № 1ა) მონაცემების მიხედვით, აგრეთვე რიგ შემთხვევებში ფორმა №3 გათვალისწინებით.[6]

3. **გამოძიების შეწყვეტა** - აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი - აღნიშნავს გამოძიების შეწყვეტას დანაშაულების მიხედვით, ეს მონაცემი არ მოიცავს იმ შემთხვევას, როდესაც წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოძიება და დევნა ერთდროულად აღირიცხება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ან საქმის გადაგზავნის აღრიცხვის ბარათის (ფორმა № 2) მონაცემების მიხედვით.

---

[5] იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც გამოძიების დაწყების ფორმის დაგვიანებით მიწოდება ხდება, ინფორმაცია არ აისახება რეგისტრირებული დანაშაულის გრაფაში, აღნიშნული მონაცემი აისახება მხოლოდ წლიურ ანგარიშში.

[6] ფორმა №3 მოიცავს ინფორმაციას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.

4. **დაზარალებულის შესახებ ინფორმაცია** - აღსარიცხი ერთეული: პირი, დაზარალებულ პირთა აღრიცხვა წარმოებს ასაკის, სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით. აღირიცხება დაზარალებულ პირთა მონაცემების აღრიცხვის ბარათის (ფორმა №7) მიხედვით.

<u>თავი II. პროკურატურის სტატისტიკა</u>

მთავარი პროკურატურის ანალიტიკურ სამმართველოში რაიონული/საოლქო პროკურატურებიდან და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებიდან ყოველი თვის 10 რიცხვისთვის იგზავნება სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვის ორი ფორმა:

1. სტატისტიკური ფორმა მუხლობრივი მონაცემების მიხედვით;
2. სტატისტიკური ფორმა საპროცესო მოქმედებების მიხედვით.

ანალიტიკურ სამმართველოში, ზემოაღნიშნული ორი ფორმის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მუშავდება და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მზადდება ანალიტიკური განზოგადება.

სტატისტიკური აღრიცხვის ფორმები დამტკიცებულია საქართველოს მთავარი პროკურორის №136 §1 ბრძანებით 19.10.2009 წელს.

პროკურატურის სტატისტიკური ინდიკატორები ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისათვის აღსარიცხი ერთეულების მიხედვით ამგვარია:

1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება (ეჭვმიტანილად ან ბრალდებულად ცნობა) - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი გულისხმობს პირთა რაოდენობას, რომლებიც არიან ეჭვმიტანილად ან ბრალდებულად ცნობილნი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება აღირიცხება როგორც პირების, ასევე დანაშაულთა/სსკ-ის მუხლების მიხედვით. დანაშაულთა მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება გულისხმობს როგორც სსკ-ის კონკრეტულ მუხლებზე, ასევე ამა, თუ იმ კატეგორიის დანაშაულზე რამდენი პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. <u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულთა ჯგუფების საერთო მაჩვენებელში დაფიქსირებული მონაცემი არ ემთხვევა ამ ჯგუფში შემავალ მუხლებზე ნაჩვენებ მონაცემთა ჯამს, რადგან ერთი და იგივე პირი შეიძლება ფიგურირებდეს ორ, ან მეტ მუხლზე.</u>

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მოიცავს, როგორც საანგარიშო პერიოდში, ასევე წინა პერიოდში დაწყებული გამოძიებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელს. მაგალითად, მაისის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი გულისხმობს როგორც მაისის თვეში,

ასევე წინა პერიოდში დაწყებული გამოძიებიდან რამდენი პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ - აღირიცხება არასრულწლოვან პირთა მიმართ დევნის დაწყებისა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მაჩვენებლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულთა ჯგუფების საერთო მაჩვენებელში დაფიქსირებული მონაცემი არ ემთხვევა ამ ჯგუფში შემავალ მუხლებზე ნაჩვენებ მონაცემთა ჯამს, რადგან ერთი და იგივე პირი შეიძლება ფიგურირებდეს ორ, ან მეტ მუხლზე.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ გულისხმობს პირთა რაოდენობას, რომლებიც არიან როგორც ეჭვმიტანილის სახით დაკავებულნი, ასვე ბრალდებულად ცნობილნი.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ მოიცავს, როგორც საანგარიშო პერიოდში, ასევე წინა პერიოდში დაწყებული გამოძიებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელს. მაგალითად, მაისის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი გულისხმობს როგორც მაისის თვეში, ასევე წინა პერიოდში დაწყებული გამოძიებიდან რამდენი არასრულწლოვანი პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

3. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა - სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი აღირიცხება როგორც, ზოგადად, პირთა რაოდენობის, ასევე დანაშაულთა/სსკ-ის მუხლების მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულთა ჯგუფების საერთო მაჩვენებელში დაფიქსირებული მონაცემი არ ემთხვევა ამ ჯგუფში შემავალ მუხლებზე ნაჩვენებ მონაცემთა ჯამს, რადგან ერთი და იგივე პირი შეიძლება ფიგურირებდეს ორ, ან მეტ მუხლზე.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა სულ პირებზე მოიცავს მხოლოდ დევნის შეწყვეტას (პირის მიმართ წყდება დევნა, მაგრამ საქმეზე გრძელდება გამოძიება) და არ მოიცავს ერთდროულად გამოძიებისა და დევნის შეწყვეტას. რაც შეეხება დანაშაულთა/სსკ-ის მუხლების მიხედვით დევნის შეწყვეტას, აღნიშნული პარამეტრი მოიცავს ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასაც.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი მოიცავს, როგორც საანგარიშო პერიოდში, ასევე წინა პერიოდში დაწყებული გამოძიებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებელს. მაგალითად, მაისის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა გულისხმობს როგორც მაისის თვეში, ასევე წინა პერიოდში დაწყებული გამოძიებიდან რამდენი პირის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

4. ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა - აღირიცხება პირების, საქმეებისა და დანაშაულთა/სსკ-ის მუხლების მიხედვით. ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ მოიცავს დევნის შეწყვეტის მაჩვენებელს (ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აღირიცხება ცალკე).

ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი მოიცავს როგორც საანგარიშო პერიოდში, ასევე წინა პერიოდში დაწყებული გამოძიებიდან ერთდროუალდ გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებელს. მაგალითად, მაისის თვეში ერთდროულად გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი გულისხმობს როგორც მაისის თვეში, ასევე წინა პერიოდში დაწყებული გამოძიებიდან რამდენი პირის მიმართ შეწყდა გამოძიება და დევნა ერთდროულად.

5. სასამართლოში წარმართვა - აღირიცხება პირების, საქმეებისა და დანაშაულთა/სსკ-ის მუხლების მიხედვით. სულ სასამართლოში წარმართული საქმეებისა და პირების რაოდენობა მოიცავს არსებითად განსახილველად წარმართულ და საპროცესო შეთანხმებით წარმართული საქმეებისა და პირების რაოდენობას. აღნიშნული პარამეტრი დანაშაულთა მიხედვით გულისხმობს, ამა თუ იმ კატეგორიის დანაშაულებსა და მუხლებზე რამდენი პირის მიმართ წარიმართა საქმე სასამართლში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულთა ჯგუფების საერთო მაჩვენებელში დაფიქსირებული მონაცემი არ ემთხვევა ამ ჯგუფში შემავალ მუხლებზე ნაჩვენებ მონაცემთა ჯამს, რადგან ერთი და იგივე პირი შეიძლება ფიგურირებდეს ორ, ან მეტ მუხლზე.

<u>თავი III. სასამართლო სტატისტიკა</u>

ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში სასამართლო ინფორმაციას წარმოადგენს შემდეგი ინდიკატორების მიხედვით:

1. **შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები** - აღსარიცხი ერთეული: პირი. აღირიცხება I ინსტანციის სასამართლოების მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები სახეების მიხედვით.

2. **დამთავრებული სისხლის სამართლის საქმეები** - აღსარიცხი ერთეული: პირი/საქმე. აღირიცხება როგორც საპროცესო შეთანხმებით, ისე არსებითი განხილვით დასრულებული საქმეები;

3. **გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენები** - აღსარიცხი ერთეული: პირი.აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოვიდა გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი.

4. **მსჯავრდებულები** - აღსარიცხი ერთეული: პირი. აღირიცხება მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა სასჯელის ფორმების მიხედვით, ასაკობრივ, სოციალურ ჭრილში,ნასამართლობის გათვალისწინებით.

5. **არასრულწლოვანი მსჯავრდებულები** - აღსარიცხი ერთეული: პირი. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა სასჯელის ფორმების მიხედვით რეგიონალურ ჭრილში;

6. **სასჯელის ფორმები დანაშაულების მიხედვით** - აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი და პირი. აღირიცხება სსკ-ის თითოეული მუხლისათვის მსჯავრდებული პირების მიმართ გამოყენებული სასჯელის ფორმები.

7. **სასჯელის ფორმები რეგიონალურ ჭრილში დანაშაულების მიხედვით** - აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი და პირი.

აღკვეთის ღონისძიებები

დაპატიმრება - აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა დაპატიმრება;

გირაო - აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა გირაო;

გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით - აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით *(შემდგომში გირაო და გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით ერთობლიობაში აღირიცხება როგორც გირაო).*

არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა - აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა მშობლების, მეურვეების, მზრუნველების ან სხვა პირების მეთვალყურეობაში გადაცემა;

სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა - აღირიცხება სამხედრო სავალდებულო, ვადიანი სამხედრო, ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემა.

დაკმაყოფილდა შუამდგომლობა - აღირიცხება საგამოძიებო ორგანოდან შემოსული შუამდგომლობების რაოდენობა, რომლებიც სასამართლოს მიერ იგივე სახით იქნა დამტკიცებული.

უარი ეთქვა შუამდგომლობას - აღირიცხება საგამოძიებო ორგანოდან შემოსული შუამდგომლობების რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ არ დაამტკიცა იგივე სახით და შეუფარდა აღკვეთის სხვა ღონისძიება.

დატოვებულია განუხილველად - აღირიცხება საგამოძიებო ორგანოდან შემოსული შუამდგომლობების რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ არ განიხილა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო.

საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება - აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა დაპატიმრება;

არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება - აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა დაპატიმრების გარდა სხვა დანარჩენი აღკვეთის ღონისძიება.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული საქმეები

სულ განხილული საქმეები - აღირიცხება პირველი ინსტანციის სასამართლოებში განაჩენის გამოტანით განხილული, შეწყვეტილი და დამატებით ძიებაში დაბრუნებული საქმეები;

განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობა - აღირიცხება სასამართლოების მიერ როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობა. საქმე აღირიცხება მასში მონაწილე მთავარი (ანუ პირველი) ბრალდებულის ძირითადი მუხლის მიხედვით;

გამამტყუნებელი განაჩენი - აღირიცხება საქმეების რაოდენობა, რომელზეც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი;

გამამართლებელი განაჩენი – აღირიცხება საქმეების რაოდენობა, რომელზეც დადგა გამამართლებელი განაჩენი;

ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი - აღირიცხება საქმეების რაოდენობა, რომელზეც დადგა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

შეწყვეტილი საქმე - აღირიცხება საქმეების რაოდენობა, რომელზეც სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმის შეწყვეტის შესახებ;

დამატებით ძიებაში დაბრუნებული საქმეები - აღირიცხება საქმეების რაოდენობა, რომელზეც სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა განჩინება საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნების შესახებ და საპროცესო შეთანხმებით შემოსული საქმის საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად პროკურატურისათვის საქმის უკან დაბრუნების შესახებ.

არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები - აღირიცხება პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეებისა და პირების რაოდენობა.

საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები - აღირიცხება საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული საქმეებისა და პირების რაოდენობა (არა აქვს მნიშვნელობა საპროცესო შეთანხმებით იყო საქმე შემოსული თუ საბრალდებო დასკვნით).

საბრალდებო დასკვნის გარეშე შემოსული საპროცესო შეთანხმებები - აღირიცხება პროკურატურიდან საპროცესო შეთანხმებით შემოსული საქმეები;

საბრალდებო დასკვნით შემოსული საპროცესო შეთანხმებები - აღირიცხება საბრალდებო დასკვნით შემოსული საქმეები, რომლებზეც სასამართლო განხილვის დროს გაფორმდა საპროცესო შეთანხმება;

საპროცესო შეთანხმებით გამოტანილი განაჩენები - აღირიცხება განაჩენების რაოდენობა, რომლებზეც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, არა აქვს მნიშვნელობა საპროცესო შეთანხმებით იყო საქმე შემოსული, თუ საბრალდებო დასკვნით.

უარი ეთქვა და დაუბრუნდა პროკურატურას საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად - პროკურატურიდან შემოსული საპროცესო შეთანხმებები, რომლებსაც სასამართლომ უარი უთხრა და საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად ხელახლა გაუგზავნა პროკურატურას.

მსჯავრდებულები

მსჯავრდებულები - აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნით; პირთა რაოდენობა აღირიცხება ძირითადი მუხლის (ანუ იმ ერთი მუხლის მიხედვით, რომელიც უფრო მეტ სასჯელს ითვალისწინებს) პრინციპით;

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები - ის პირები, რომელთაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებიათ 18 წელი.

მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი პირები - აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელზეც სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენი ან განჩინება საქმის შეწყვეტის შესახებ.

თავისუფლების აღკვეთა - მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა როგორც ვადიანი, ასევე უვადო თავისუფლების აღკვეთა;

პირობითი მსჯავრი - მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა პირობითი მსჯავრით;

ჯარიმა - მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ ძირითადი სასჯელის სახით შეუფარდა ჯარიმა;

გათავისუფლდა ამნისტიით ან სხვა საფუძვლით - მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ გაათავისუფლა სასჯელისაგან.

დანაშაული და დანიშნული სასჯელები

დანაშაულთა რაოდენობა - აღირიცხება დანაშაულის თითოეული ეპიზოდის რაოდენობა;

დანიშნულ სასჯელთა რაოდენობა - აღირიცხება დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების რაოდენობა.

<u>თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა</u>

ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო წარმოადგენს სტატისტიკურ ინფორმაციას ორი მიმართულებით: ***თავისუფლების აღკვეთის ანუ პენიტენციური*** და ***არასაპატიმრო სასჯელაღსრულებითი ანუ საპრობაციო სტატისტიკა***. თითოეულ მიმართულებაში სტატისტიკური ინფორმაცია დაყოფილია სასჯელის მოხდის მიმდინარეობის სხვადასხვა ასპექტის მიხედვით.

მონაცემების შეგროვება ხორციელდება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტატისტიკურ-ანალიტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული აღრიცხვის ცხრილების საშუალებით.

მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და გაგზავნის ვადები

- მონაცემთა შეგროვება სასჯელაღსრულების სისტემის შესაბამისი სამსახურებიდან ხორციელდება ყოველი თვის 1-7 რიცხვებს შორის პერიოდში.
- შეგროვებული მონაცემების დამუშავება ხდება ყოველი თვის 8-19 რიცხვებს შორის პერიოდში;
- სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშების წარდგენის ვადაა მომდევნო თვის 20 რიცხვი.

პენიტენციური სტატისტიკა

ერთიანი სტატისტიკური ანგარიში მოიცავს პენიტენციური სტატისტიკის შემდეგ მონაცემებს:

ზოგადი სტატიკური მონაცემები:

- პატიმართა და მსჯავრდებულთა ასაკობრივი ჯგუფები დაწესებულებებში;
- მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით;
- მსჯავრდებულთა რაოდენობა დაწესებულებებში რეჟიმების მიხედვით;
- პატიმართა და მსჯავრდებულთა რაოდენობა საპატიმრო ადგილების ლიმიტებთან შეფარდებით;
- უცხოელი პატიმრები და მსჯავრდებულები;
- ბრალდებულები.

დინამიკური მონაცემები:

რაოდენობის ცვალებადობა დინამიკაში:

- ყველა დაწესებულებიდან გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა თ/ა შეწყვეტის ფორმის მიხედვით;
- დაწესებულებებს შორის პატიმართა და მსჯავრდებულთა მოძრაობა.

მზადება საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის:

- რესოციალიზაციის მიმდინარეობა – პროგრამები დაწესებულებების მიხედვით;
- დისციპლინური ღონისძიებები.

კრიმინოგენული მდგომარეობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში:

- დაწესებულებებში მომხდარი დანაშაულები;
- დაწესებულებებში მომხდარი ფაქტები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიმართ.

ჯანმრთელობის დაცვა:

- ავადობა სასჯელაღსრულების სისტემაში;
- სამედიცინო დახმარება სასჯელაღსრულების სისტემაში;

- ექიმ-სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების შედეგად გამოვლენილი დაავადებები სქესობრივ და ასაკობრივ ჯგუფებში;
- პატიმართა და მსჯავრდებულთა გარდაცვალების შემთხვევები.

არასაპატიმრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა

ზოგადი სტატიკური მონაცემები:

- პრობაციონერთა სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობა რეგიონებში (საერთო მონაცემი);
- პრობაციონერთა რაოდენობა რეგიონულად შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (საერთო მონაცემი).

დინამიკური მონაცემი (მატება, კლება):

- პრობაციონერთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიებების მიხედვით რეგიონულად - დინამიკაში;
- პრობაციონერთა რაოდენობა სქესობრივი და ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით;
- დასრულებული საქმეების რაოდენობა საფუძვლის მიხედვით რეგიონებში;
- დასრულებული საქმეების რაოდენობა საფუძვლის მიხედვით სქესობრივ და ასაკობრივ ჯგუფებში.

თავი I.პოლიციის სტატისტიკა[7]

ნაწილი 1 - რეგისტრირებული დანაშაული

1.1 რეგისტრირებულ დანაშულთა რაოდენობა

2010 წლის მაისის თვეში რეგისტრირებულია 3608 დანაშაული. აქედან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე მოდის 5,3% (191 დანაშაული), მძიმეზე - 16,3% (589 დანაშაული), ხოლო ნაკლებად მძიმეზე - 78,4% (2828 დანაშული).

რეგისტრირებული დანაშულები კატეგორიების მიხედვით



2010 წლის მაისის თვეში 100 000 მოსახლეზე საქართველოში ჩადენილი დანაშაულის კოეფიციენტი შეადგენს 81,3[8].

[7] ანგარიშის ეს ნაწილი მომზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მიერ.

[8] გამოითვლება რეგისტრირებული დანაშაულის შეფარდებით მოსახელეობის რაოდენობაზე და მრავლდება 100 000-ზე. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში არის 4 436 400.

2010 წლის მაისში რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით ამგვარია: დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ - 240 (6,6%), დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ - 488 (13,5%), ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა - 1 (0,02%), დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ - 14 (0,4%), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ - 107 (3,0%), დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ - 4 (0,1%), დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ - 1479 (41,0%), დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ - 8 (0,2%), დანაშაულები ფულად-საკრედიტო სისტემაში - 28 (0,8%), დანაშაულები საფინანსო საქმიანობის სფეროში - 19 (0,5%), დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ - 1 (0,02%), დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ - 200 (5,5%), დანაშაული სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის წინააღმდეგ - 13 (0,4%), დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ - 6 (0,2%), ნარკოტიკული დანაშაული - 299 (8,3%), სატრანსპორტო დანაშაული - 387 (10,7%), დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ - 29 (0,8%), დანაშაული ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევის წინააღმდეგ - 7 (0,2%), სამოხელეო დანაშაული - 31 (0,8%), დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ - 184 (5,1%), დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ - 18 (0,5%), დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება - 4 (0,1%), დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ - 36 (1,0%), დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ - 4 (0,1%), დანაშაული სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლუატაციის წესის წინააღმდეგ - 1 (0,02%).

2010 წლის მაისის თვეში ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულები



2010 წლის მაისის თვეში ნაკლებად გავრცელებული დანაშაულები



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (6,6% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) განზრახ მკვლელობაზე მოდის 5,4% (13 დანაშაული), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში - 1,7% (4 დანაშაული), მკვლელობის მცდელობაზე - 9,2% (22 დანაშაული), თვითმკვლელობამდე მიყვანის დანაშაულზე - 67,9% (163 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებზე - 15,8% (38 დანაშაული). თვითმკვლელობამდე მიყვანის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია საქართველოში გავრცელებული პრაქტიკით, კერძოდ თუ გვამს არ აღენიშნება ძალადობის ნიშნები, სამართალდამცავი ორგანოები იწყებენ გამოძიებას სსკ-ის 115 მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა). გამოძიების მსვლელობისას უმეტესობა წყდება, მაგალითად, მაისის თვეში შეწყვეტილი იქნა სსკ-ის 115 მუხლით გათვალისწინებული 133 საქმე.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (13,5% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება არის 10 (2,5%), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება - 471 (96,5%), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაულები - 7 (1,4%). ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია საქართველოში არსებული პრაქტიკით, კერძოდ საავადმყოფოები ვალდებულნი არიან სხეულის დაზიანებით მიყვანილი პაციენტების შესახებ შეატყობინონ სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც თავის მხრივ, გამოძიებას იწყებენ სსკ-ის 118-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება). გამოძიების მსვლლობისას უმეტესობა წყდება, მაგალითად მაისის თვეში შეწყვეტილი იქნა სსკ-ის 118 მუხლით გათვალისწინებული 338 საქმე.



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (0,4% სულ რეგისტირებულ დანაშაულში) გაუპატიურების მუხლით რეგისტრირებული იქნა 7 (50,0%) დანაშაული , ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაულთა რაოდენობამ შეადგინა 7 (50,0%).



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (3% სულ რეგისტირებულ დანაშაულში) თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით რეგისტრირებულმა დანაშაულმა შეადგინა - 32 (30.0%), მუქარის მუხლით - 47 (43,9%), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით რეგისტრირებულმა დანაშაულებმა - 28 (26,1%).

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (41% სულ რეგისტირებულ დანაშაულში) ქურდობაზე მოდის - 1066 (72,1%) (ბინებიდან - 105 (9,8%), ავტომობილების - 8 (0,7%), პირუტყვის - 43 (4,0%), მობილური ტელეფონების - 22 (2,1%)), ძარცვაზე - 55 (3,7%), ყაჩაღობაზე - 32 (2,2%), თაღლითობაზე -119(8,0%), გამოძალვაზე - 4 (0,3%), ნივთის დაზიანებაზე - 156 (10,5%), ხოლო ამ თავით გათვალისწინებულ სხვადანაშაულებთა რაოდენობამ შეადგინა 47 (3,2%).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (5,5% სულ რეგისტირებულ დანაშაულში) ხულიგნობის მუხლით რეგისტრირებული იქნა 47 (23,5%) დანაშაული; 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების მუხლით - 56 (28,0%) დანაშაული; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით - 94 (47.0%) დანაშაული; ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაულებმა შეადგინა 3 (1,5%).



ნარკოტიკული დანაშაულებიდან (8,3% სულ რეგისტირებულ დანაშაულში) საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მუხლით რეგისტრირებული იქნა 4 (1,3%) დანაშაული, ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით - 131 (43,8%) დანაშაული, ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა უკანონო დათესვის მუხლით - 4 (1,3%) დანაშაული, ნარკოტიკული ნივთიერებების განმეორებითი მოხმარების მუხლით - 160 (53,5%) დანაშაული.

ნარკოტიკული დანაშაული



სატრანსპორტო დანაშაულებიდან (10,7% სულ რეგისტირებულ დანაშაულში) ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით რეგისტრირებული იქნა - 386 (99,7%) დანაშაული, და თავით გათვალისწინებული 1 სხვა დანაშაული (0,3%) .

სატრანსპორტო დანაშაული



სამოხელეო დანაშაულებიდან (0,8% სულ რეგისტირებულ დანაშაულში) სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით რეგისტრირებული იქნა 2 დანაშაული (6,5%), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით - 4 დანაშაული (12,8%), სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით - 10 დანაშაული (32,3%), ქრთამის აღების მუხლით - 8 დანაშაული (25,8%), ქრთამის მიცემის მუხლით - 7 დანაშაული (22,6%).

სამოხელეო დანაშაული



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (5,1% სულ რეგისტირებულ დანაშულში) ყალბი დოკუმენტების დამზადების მუხლით რეგისტრირებულია 125 დანაშული (67,9%) ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაულები - 59 (32,1%) .

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



1.2 კვალიფიკაციის შეცვლა

2010 წლის მაისის თვეში რეგისტრირებული დანაშაულიდან კვალიფიკაცია შეეცვალა 56 დანაშაულს (1,6% სულ რეგისტირებულ დანაშაულში). აქედან გადაკვალიფიცირება მოხდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის - 10 (17,9%) დანაშაულზე, მძიმე კატეგორიის - 10 (17,9%) დანაშაულსა და ნაკლებად მძიმე კატეგორიის - 36 (64,2%) დანაშაულზე.

გადაკვალიფიცირებული დანაშაულები კატეგორიების მიხედვით



სულ რეგისტრირებული დანაშაულებიდან გადაკვალიფიცირდა: სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული - 3 (5,4%) დანაშაული, ჯანმრთელობის წინააღმდეგ - 21 (37,5%) დანაშაული, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ - 4 (7%) დანაშაული, საკუთრების წინააღმდეგ - 15 (26,8%) დანაშაული, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ - 2 (3,6%) დანაშაული, ნარკოტიკული დანაშაული - 7 (12,5%), სატრანსპორტო დანაშაული - 2 (3,6%), მმართველობის წესის წინააღმდეგ -2 (3,6%) დანაშაული.

2010 წლის მაისის თვეში რეგისტრირებულ დანაშაულთა გადაკვალიფიცირება



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა მკვლელობის მცდელობის მუხლით გათვალისწინებული 3 (100%) დანაშაული.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით გათვალისწინებული 2 (9,5%), ხოლო ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით - 19 (90,5%) დანაშაული.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით რეგისტირებული 1 (25,0%), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით რეგისტირებულია 3 (75,0%) დანაშაული.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან კვალიფიკაცია შეეცვალა ქურდობის მუხლით რეგისტირებულ 9 (60,0%), (მათ შორის 1 ბინიდან ქურდობა), ძარცვის მუხლით - 3 (20,0%), ხოლო ნივთის დაზიანების მუხლით რეგისტრირებულ - 3 (20,0%) დანაშაულს.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა ხულიგნობის მუხლით რეგისტრირებული 2 დანაშაული.

ნარკოტიკული დანაშაულებიდან კვალიფიკაცია შეეცვალა ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით რეგისტირებულ - 7 დანაშაულს.

სატრანსპორტო დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით რეგისტირებული - 2 დანაშაული.

1.3 გამოძიების შეწყვეტა რეგისტირებული დანაშაულების მიხედვით

2010 წლის მაისის თვეში შეწყდა გამოძიება შეწყდა 1559 დანაშაულზე (სულ რეგისტრირებული დანაშაულის 43,2%). მათ შორის, შეწყდა 15 (1,0%) - განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, (მათ შორის 7 (1,6%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), 193 (12,4%) - მძიმე დანაშაული (მათ შორის 22 (4,9%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ნაკლებად მძიმე - 1351 (86,6%) (მათ შორის 418 (93,5%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

შეწყვეტილი დანაშაულები კატეგორიების მიხედვით



რეგისტრირებული დანაშაულებიდან შეწყდა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული - 157 (10,1%), ჯანმრთელობის წინააღმდეგ - 349 (22,4%), სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ - 4 (0,2%), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული - 69 (4,4%), ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული - 1 (0,06%), საკუთრების წინააღმდეგ მიმართული - 511 (32,8%), სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული - 2 (0,1%), ფულად-საკრედიტო სისტემის წინააღმდეგ მიმართული - 1 (0,06%), საფინანსო საქმიანობის

სფეროს წინააღმდეგ მიმართული - 2 (0,1%), სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული - 1 (0,06%), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული - 72 (4,6%), სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის წინააღმდეგ მიმართული - 8 (0,5%), მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული - 5 (0,3%), 19 (1,2%) - ნარკოტიკული, 261 (16,7%) - სატრანსპორტო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული - 4 (0,3%), 11 (0,7%) - სამოხელეო, მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული - 77 (4,9%), მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართული - 3 (0,2%), სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული - 2 (0,1%) დანაშაული.

რეგისტრირებულ დანაშაულთა შეწყვეტა



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (157 შეწყვეტილი დანაშულებიდან 58(12,9%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში). 1 (0,6%) დანაშაული შეწყდა განზრახ მკვლელობის მუხლით, თვითმკვლელობამდე მიყვანით - 133 (84,7%) (მათ შორის 54 (93,1%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით კვალიფიცირებული 23 (14,6%) დანაშაული (მათ შორის 4 (6,9%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (სულ შეწყვეტილი 349 დანაშაულებიდან 142 (31,8%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით შეწყდა 4 (1,1%) დანაშაული, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით - 338 (96,8%) დანაშაული (მათ შორის 141 (99,2%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო 7 (2,0%) (მათ შორის 1 (0,7%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) - ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით კვალიფიცირებული დანაშაულები.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (სულ შეწყვეტილი 4 დანაშაულიდან 3 (0,7%) დანაშაული რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) გაუპატიურების მუხლით - 1 (25,0%) დანაშაული (მათ შორის 1 (33,3%) რეგისტრირებულია

საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით - 3 დანაშაული (75%) (მათ შორის 2 (66,7%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (სულ შეწყვეტილი 69 დანაშაულიდან 22 (5,0%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში). თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით შეწყდა 24 (34,8%) დანაშაული (მათ შორის 12 (54,5%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), მუქარის მუხლით - 21 (30,4%) დანაშაული (მათ შორის 10 (45,5%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული მუხლებით - 24 (34,8%) დანაშაული.



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულებიდანსულ შეწყვეტილია 511 დანაშაული, მათ შორის 126 (28,2%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში. გამოძიება შეწყვეტილია 297 (58,1%) ქურდობაზე(მათ შორის 62 (49,2%) რეგისტრირებული საანგარიშო

პერიოდში), მათ შორის შეწყვეტილია გამოძიება ბინებიდან ქურდობის - 9 (3,0%), პირუტყვის ქურდობის - 9 (3,0%),, მობილური ტელეფონების ქურდობის - 5 (1,7%) დანაშაულზე. , ძარცვის - 7 (1,4%) (მათ შორის 1 (0,8%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ყაჩაღობის - 17 (3,3%) (მათ შორის 2 (1,6%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), თაღლითობის - 43 (8,4%) (მათ შორის 7 (5,6%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), გამოძალვის - 5 (1,0%), ნივთის დაზიანების მუხლით - 114 (22,3%) (მათ შორის 46 (36,5%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) დაამ თავით გათვალისწინებული სხვა 28 (5,5%) დანაშაულზე(მათ შორის 8 (6,3%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში). -

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული სულ შეწყვეტილი 72 დანაშაულიდან, 26 (5,8%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში. გამოძიება შეწყდა 14 (19,4%) ხულიგნობის (მათ შორის 3 (11,5%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართ. მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების - 4 (5,5%) (მათ შორის 1 (3,8%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთ. ან ასაფეთქებ. მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების - 51 (70,8%) დანაშაულზე (მათ შორის 21 (80,8%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) და ამ თავით გათვალისწინებული სხვა 3 (4,2%) დანაშაულზე (მათ შორის 1 (3,8%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



სამუშაო წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის წინააღმდეგ მიმართული 8 შეწყვეტილი დანაშაულიდან 3 (0,7%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში.

სულ შეწყვეტილი 19 **ნარკოტიკული დანაშაულიდან** 8 (1,8%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანის, საქართველოდან უკანონოდ გატანისა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მუხლით შეწყდა 1 (5,3%) დანაშაული, ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით - 15 (78,9%) დანაშაული (მათ შორის 6 (75,0%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ნარკოტიკული ნივთიერებების განმეორებითი მოხმარების მუხლით - 2 (10,5%) დანაშაული (მათ შორის 1 (12,5%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) და ამ თავით გათვალისწინებული 1 დანაშაული (5,3%).

ნარკოტიკული დანაშაული



სატრანსპორტო დანაშაულებიდანშეწყვეტილია 261 დანაშაული, მათ შორის 50 (11,2%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში). ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით შეწყდა 260 (99,6%) დანაშაული (მათ შორის 50 (100%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით - 1 (0,4%) დანაშაული.

სატრანსპორტო დანაშაული



გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული 4 შეწყვეტილი დანაშაულიდან 1 (0,2%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში.

სამოხელეო დანაშაულებიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით შეწყდა 3 (27,3%) დანაშაული, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით - 7 (63,6%) დანაშაული, სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით - 1 (9,1%) დანაშაული.

სამოხელეო დანაშაული



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (სულ შეწყვეტილი 77 დანაშაულიდან 8 (1,8%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში). ყალბი დოკუმენტების დამზადების მუხლით შეწყდა 66 (85,7%) დანაშაული, (მათ შორის 6 (75,0%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით - 11 (14,3%) დანაშაული (მათ შორის 2 (25,0%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



რეგისტრირებულ დანაშულთა საერთო რაოდენობის აღრიცხვა, მათი გადაკვალიფიცირება და შეწყვეტა ხდება ცხრილებით, რომლებიც მოცემულია დანართის სახით (იხ. ცხრილი № 1)

1.4 ოჯახში ძალადობა

ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკა აღირიცხება გამოცემული შემაკავებელი ორდერების შესაბამისად საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 26 დეკემბრის №1630 და 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანებები საფუძველზე (ფორმა №7ა). ბრძანებით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირებმა უნდა უზრუნველყონ შემაკავებელი ორდერების ბაზაზე შესაბამისი "ოჯახური ძალადობის ფაქტის აღრიცხვის ბარათის" ფორმების შედგენა და ერთიანი აღრიცხვის მიზნით შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში წარმოდგენა. აღნიშნულ ფორმაში მითითებულია ოჯახურ ძალადობაში მონაწილე პირთა (მსხვერპლი/მოძალადე) დემოგრაფიული მონაცემები, სქესი, ასაკი, ნათესაური კავშირი, მომხდარი ფაქტის შინაარსი და ძალადობის სახეები. აღრიცხული მონაცემების საფუძველზე ტარდება მისი ანალიზი და მზადდება სტატისტიკური ანგარიშები. სტატისტიკის დათვლა ხდება რეგიონების მიხედვით და მთლიანად საქართველოში.

2010 წლის მაისის თვის განმავლობაში სულ რეგისტრირებულია ოჯახური ძალადობის 13 ფაქტი. აქედან მსხვერპლი: მამრობითი არის - 2 (15,0%), მდედრობითი - 11 (85,0%) პირი. მოძალადე: მამრობითი არის - 11 (85,0%), მდედრობითი - 2 (15,0%) პირი.





2010 წლის მაისის თვეში ოჯახური ძალადობის ფაქტები მოცემულია შემდეგი ძალადობის სახეების მიხედვით: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, მუქარა - 1 ფაქტი; ფიზიკური, ფსიქოლოგიური - 6 ფაქტი;

ფსიქოლოგიური - 2 ფაქტი; სიტყვიერი შეურაცხყოფა - 3 ფაქტი; ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური - 1 ფაქტი; ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფა - 4 ფაქტი; ფიზიკური, ეკონომიური - 1 ფაქტი. (იხ. დანართი ცხრილი №3,4)

ნაწილი 2 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

2.1 რეგისტრირებული სამართალდარღვევები

2010 წლის მაისის თვეში რეგისტრირებულია 38272 სამართალდარღვევა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გავრცელებული სახეობების მიხედვით ამდაგვარია: საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევის ხაზით - 37513 (98,02%) ფაქტი, გარემოს დაცვის სფეროში - 19 (0,05%) ფაქტი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში - 166 (0,44%) ფაქტი, საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ხაზით - 16 (0,05%) ფაქტი, ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 4 (0,01%) ფაქტი, მმართველობის დადგენილი წესის დარღვევა - 228 (0,60%) ფაქტი, ნარკოტიკების უკანონო მოხმარება-შენახვა - 143 (0,38%) ფაქტი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი სამართალდარღვევები - 183 (0,45%) ფაქტი.

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული



საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევის ხაზით სულ რეგისტრირებულია - 37513 (98,02%) ფაქტი. მათ შორის: არაფხიზელ მდგომარეობაში ა/მანქანის მართვა - 1057 (2,82%) ფაქტი, ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა - 575 (1,54%) ფაქტი, საგზაო მოძრაობის წესის დარღვევა - 25790 (68,75%) ფაქტი და სხვა დანარჩენი - 10091 (26,89%) ფაქტი.

გარემოს დაცვის სფეროში სულ რეგისტრირებულია - 19 (0,05%) ფაქტი. მათ შორის: ხე-ტყის უკანონო ჭრა - 17 (89,48%) ფაქტი, წიაღით სარგებლობა ლიცენზიის გარეშე ან ლიცენზიის პირობების დარღვევით - 1 (5,26%) ფაქტი და სხვა დანარჩენი - 1 (5,26%) ფაქტი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში სულ რეგისტრირებულია - 166 (0,44%) ფაქტი. მათ შორის: წვრილმანი ხულიგნობა - 163 (98,20%) ფაქტი, ნასვამ მდგომარეობაში - 2 (1,21%) ფაქტი და სხვა დანარჩენი - 1 (0,59%) ფაქტი.

საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ხაზით სულ რეგისტრირებულია - 16 (0,05%) ფაქტი. მათ შორის: რეგისტრაციის წესების დარღვევა - 9 (56,25%) ფაქტი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაკარგვა ან დაზიანება - 7 (43,75%) ფაქტი.

ვაჭრობისა და ფინანსების დარგში სულ რეგისტრირებულია - 4 (0,01%) ფაქტი. მათ შორის: სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა - 2 (50%) ფაქტი და სხვა დანარჩენი - 2 (50,0%) ფაქტი.

მმართველობის დადგენილი წესის დარღვევა სულ რეგისტრირებულია - 228 (0,60%) ფაქტი. მათ შორის: სამართალდამცავი მუშაკისადმი დაუმორჩილებლობა - 217 (95,18%) ფაქტი, იარაღზე რეგისტრაციის წესის დარღვევა - 8 (3,51%) ფაქტი, შავი და ფერადი ლითონებით ვაჭრობის დადგენილი წესის დარღვევა - 3 (1,32%) ფაქტი.

ნარკოტიკების უკანონო მოხმარება-შენახვა სულ რეგისტრირებულია - 143 (0,38%) ფაქტი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამ სახეობის მიხედვით სამართალდარღვევათა ფაქტები შეადგენს - 143 (100%).

რეგისტრირებულ სამართალდარღვევათა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართის სახით (იხ. ცხრილი № 2).

ნაწილი 3 - დაზარალებული პირები

3.1 დაზარალებულ პირთა რაოდენობა

დაზარალებულ პირთა აღრიცხვა ხდება „დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შს მინისტრის 2005 წლის 28 აპრილის №423 ბრძანების თანახმად. დაზარალებულ პირთა მონაცემების აღრიცხვა ხდება ფორმა №7 საფუძველზე, სადაც მითითებულია დაზარალებულ პირთა დემოგრაფიული მონაცემები, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა. ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სტატუსი, დასახელება და მიყენებული ზარალის სახეობა. აღრიცხული მონაცემების საფუძველზე ტარდება მისი ანალიზი და მზადდება სტატისტიკური ანგარიშები. სტატისტიკის დათვლა ხდება როგორც რეგიონების, ასევე მთლიანად საქართველოს მასშტაბით.

2010 წლის მაისის თვის განმავლობაში სულ დაფიქსირებულია 793 დაზარალებული პირი. მათ შორის მამრობითი - 483 (60,9%), მდედრობითი - 310 (39,1%).

დაზარალებული პირთა მონაცემები სქესის მიხედვით



დაზარალებული პირებიდან საქართველოს მოქალაქე არის 758 (95,6%), უცხოელი - 34 (4,3%) და მოქალაქეობის არმქონე - 1 (0,1%) .



დაზარალებულ პირთა შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის სახით (იხ. ცხრილი № 5)

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა[9]

ნაწილი 4 - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით

4.1 სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი

2010 წლის მაისში საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი[10] (პირთა რაოდენობის მიხედვით) დანაშაულთა კატეგორიებზე შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 184 პირის მიმართ, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 534 პირის მიმართ, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე 963 პირის მიმართ.



იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულთა ჯგუფებიდან ყველაზე მაღალია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში (676 პირი), შემდეგ მოდის ნარკოტიკული დანაშაულები (290 პირი), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (181 პირი), მმართველობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (130 პირი), სატრანსპორტო დანაშაულები (97 პირი), დანაშაულები ფულად-საკრედიტო სისტემაში (87 პირი), ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (38 პირი), დანაშაულები

[9] ანგარიშის ეს ნაწილი მომზადებულია მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ.

[10] თუ ერთ პირს ჩადენილი აქვს რამდენიმე კატეგორიის დანაშაული, მაშინ ეს პირი ფიქსირდება ყველა კატეგორიაზე, ამიტომ დანაშაულთა კატეგორიების ჯამი არ დაემთხვევა სულ დევნის დაწყების მაჩვენებელს.

სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (35 პირი), სამოხელეო დანაშაულები (34 პირი), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (27 პირი), სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (26 პირი) და ა.შ (იხ, დანართი ცხრილი №6)

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით
(2010 წლის მაისი)



2010 წლის მაისში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებზე არ დაფიქსირებულა.

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო განზრახ მკვლელობის მცდელობაზე (16 პირი), შემდეგ მოდის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და განზრახ მკვლელობის დანაშაულები (4-4 პირი) და თვითმკვლელობამდე მიყვანა (2 პირი).



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების დანაშაულზე (დევნა დაიწყო 22 პირის მიმართ), შემდეგ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულზე (10 პირის მიმართ).



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნა დაიწყო მხოლოდ შემდეგ დანაშაულებზე: 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების (3 პირის მიმართ) და გაუპატიურების (1 პირის მიმართ) დანაშაულებზე.



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დანაშაულზე დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, მძევლად ხელში ჩაგდების დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა,

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქურდობისა (მათ შორის ბინიდან ქურდობა 47 პირი,, ავტომობილის ქურდობა - 11 პირი, პირუტყვის - 10 პირი, ხოლო მობილური ტელეფონის - 13 პირი) და თაღლითობის დანაშაულებზე.



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებლები შემდეგნაირია: ხულიგნობის დანაშაულზე დევნა დაიწყო 61 პირის მიმართ, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების დანაშაულზე 60 პირის მიმართ, 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე 56 პირის მიმართ, ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების დანაშაულებზე კი ორ-ორი პირის მიმართ.

დევნის დაწყება საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2010 წლის მაისი)



ნარკოტიკული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ისეთ დანაშაულზე როგორიცაა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება (დევნა დაიწყო 147 პირის მიმართ) და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (დევნა დაიწყო 140 პირის მიმართ).

დევნის დაწყების მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2010 წლის მაისი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 97 პირის მიმართ.

სამოხელეო დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებლები შემდეგნაირია: ქრთამის აღების დანაშაულზე დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულზე 10 პირის მიმართ, ქრთამის მიცემის დანაშაულზე 7 პირის მიმართ, ხოლო სამსახურებრივი გულგრილობის, სამსახურებრივი სიყალბისა და ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულებზე ორ-ორი პირის მიმართ.



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადება, გასაღება, ან გამოყენების დანაშულზე (80 პირი).



4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 11 პირის მიმართ, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე 10 პირის მიმართ, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე დევნა არ შეწყვეტილა



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (დევნა შეწყდა 13 პირის მიმართ), შემდეგ ნარკოდანაშაულებზე (12 პირის მიმართ), სატრანსპორტო დანაშაულებზე (8 პირის მიმართ), ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (4 პირის მიმართ), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2 პირის მიმართ) და სამოხელეო დანაშაულებზე (2 პირის მიმართ) და ა.შ (იხ. დანართი ცხრილი №6).

დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები დანაშულთა ჯგუფების მიხედვით
(2010 წლის მაისი)



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშალთა სხვა ჯგუფებზე არ დაფიქსირებულა.

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით ამგვარია:

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების დანაშაულსა და ცემის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 2-2 პირის მიმართ, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშულზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება,

დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულსა (1 პირი) და ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვის დანაშაულზე (1 პირი), 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლეობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ქურდობის დანაშაულზე დევნა შეწყდა 12 პირის მიმართ, ხოლო ნივთის დაზიანება/განადგურების დანაშაულზე - 1 პირის მიმართ.

სულ ნარკოტიკული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ნარკოტიკული საშუალების, მისის ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნის, ან გასაღების დანაშაულსა (11 პირი) და პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანლოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარების დანაშაულზე (1 პირი),

დევნის შეწყვეტის მაჩვენებლი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2010 წლის მაისი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე (8 პირი),

სამოხელეო დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ სამსახურებრივი გულგრილობის დანაშაულზე (2 პირი).

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვის უკანონოდ გადაკვეთის დანაშაულზე (1 პირი).

4.3 გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტა

საქართველოს მასშტაბით 2010 წლის მაისში გამოძიება და დევნა ერთდროულად შეწყდა 94 დანაშაულზე, აქედან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის იყო 17 დანაშაული, მძიმე კატეგორიის - 5 დანაშაული, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის - 72 დანაშაული.



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით გამოძიების და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო სატრანსპორტო დანაშაულებზე (31 დანაშაული), შემდეგ ნარკოდანაშაულებზე (23), საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (18), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (7), ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებზე (4), დანაშაულებზე მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (4). სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებზე (2), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზებზე (2), დანაშაულებზე მმართველობის წესის წინააღმდეგ (2) და სამოხელეო დანაშაულებზე (1) (იხ. დანართი ცხრილი №6).

გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტა დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით (2010 წლის მაისი)



2010 წლის მაისში ერთდროულად გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებზე არ დაფიქსირებულა.

დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით ერთდროულად გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები ამგვარია:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გამოძიება და დევნა ერთდროუალად შეწყდა მხოლოდ განზრახ მკვლელობის 2 დანაშაულზე.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების დანაშაულსა (3 დანაშაული) და ცემის დანაშაულზე (1 დანაშაული), სხვა დანაშულებზე გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტა არ დაფიქსირებულა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულზე ერთდროულად გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ერთდროულად გამოძიება და დევნა შეწყდა მუქარის დანაშულზე (1 დანაშაული).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გამოძიების და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ქურდობის დანაშაულზე (შეწყდა 14 დანაშაულზე, მათ შორის ავტომობილის ქურდობის 2 დანაშულზე), შემდეგ ნივთის დაზიანება/განადგურების, ყაჩაღობის და ძარცვის დანაშაულებზე (შეწყდა თითო-თითო დანაშაულზე).



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გამოძიება და დევნა ერთდროულად შეწყდა ხულიგნობის (4) და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების (3) დანაშაულებზე.



ნარკო დანაშაულებიდან გამოძიება და დევნა ერთდროულად შეწყდა ნარკოტიკული საშვალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღების 14 დანაშაულზე და პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშვალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების 9 დანაშაულზე, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ან პრეკურსორის უკანონო შემოტანა-გატანის, ან ტრანზიტით უკან გადაზიდვის დანაშულსა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის მოყვანა/კულტივირების დანაშაულზე ერთდროულად გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე (2010 წლის მაისი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან ერთდროულად გამოძიება და დევნა შეწყდა ტრანსპორტი მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის 31 დანაშაულზე.

სამოხელეო დანაშაულებიდან ერთდროულად გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსრდა მხოლოდ სამსახურებრივი გულგრილობის დანაშაულზე (1 დანაშაული).

მმართველობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ერთდროუალდ გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები დაფიქსრდა შემდეგ დანაშაულებზე: თვითნებობა (1დანაშაული),

დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (1 დანაშული), სხვა დანაშაულებზე ერთდროულად გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები არ დაფიქსირებულა.

მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ერთდროუალდ გამოძიება და დევნა შეწყდა ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, ან არასწორი თარგმნის დანაშაულსა (3 დანაშაული) და მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის დანაშულზე (1 დანაშაული).

გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2010 წლის მაისი)



4.4 სასამართლოში წარმართვა

დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით იმ პირთა რაოდენობა ვის მიმართაც საქმე წარიმართა სასამართლოში შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე 230 პირის მიმართ, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 448 პირის მიმართ, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 831 პირის მიმართ.



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით იმ პირთა რაოდენობა ვის მიმართაც საქმე წარიმართა სასამართლოში ყველაზე მაღალი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (515 პირი), შემდეგ ნარკოდანაშაულებზე (363), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (216), სატრანსპორტო დანაშაულებზე (65), დანაშაულებზე ფულად-საკრედიტო სისტემაში (45 პირი), სამოხელეო დანაშაულებზე (33), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (33 პირი), სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (28), ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (26), სამეწარმეო, ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (26 პირი),დანაშაულებზე საფინანსო საქმიანობის სფეროში (11 პირი), და ა.შ (იხ. დანართი ცხრილი №6)

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით (2010 წლის მაისი)



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან განზრახ მკვლელობის მცდელობის დანაშაულზე სასამართლოში საქმე წარიმართა 10 პირის მიმართ, განზრახ მკვლელობაზე 7 პირის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობაზე 5 პირის მიმართ, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის დანაშაულზე 3 პირის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის დანაშაულზე 2 პირის მიმართ, ხოლო დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობის დანაშაულზე 1 პირის მიმართ.

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2010 წლის მაისი)



ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულებიდან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 15 პირის მიმართ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების დანაშაულზე - 10 პირის მიმართ.

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2010 წლის მაისი)



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გაუპატიურების დანაშაულზე საქმე სასამართლოში არცერთი პირის მიმართ არ წარმართულა. დანაშულზე სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან საქმე სასამართლოში წარიმართა 2 პირის მიმართ.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან მძევლად ხელში ჩაგდების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 7 პირის მიმართ, მუქარის დანაშაულზე - 7 პირის მიმართ, შრომის დაცვის წესის დარღვევის დანაშაულზე - 7 პირის მიმართ, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 6 პირის მიმართ, და იძულების დანაშაულზე - 1 პირის მიმართ,

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2010 წლის მაისი)



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც საქმე წარიმართა სასამართლოში, ყველაზე მაღალი იყო ქურდობის დანაშაულზე (347 პირის მიმართ, მათ შორის ბინიდან - 28 პირი, ავტომობილის - 17 პირი, პირუტყვის - 1 პირი, მობილური ტელეფონის - 11 პირი).

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2010 წლის მაისი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე (90 პირის მიმართ).

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2010 წლის მაისი)



ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე სასამართლოში წარმართვის მაჩვენებლები შემდეგნაირია: პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების დანაშაულზე 189 პირის მიმართ, ნარკოტიკული საშვალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღების დანაშაულზე 176 პირის მიმართ, ხოლო საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ა პრეკურსორის უკანონო შემოტანა-გატანის ან ტრანზიტით უკან გადაზიდვის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 11 პირის მიმართ. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარისუკანონო დათესვა, მოყვანა/კულტივირების დანაშაულზე სასამართლოში საქმე არც ერთი პირის მიამრთ არ წარმართულა.

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2010 წლის მაისი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 63 პირის მიმართ.

სამოხელეო დანაშაულებზე სასამართლოში წარმართვის მაჩვენებლები შემდეგნაირია: ქრთამის აღების დანაშაულზე წარიმართა 12 პირის მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულზე - 7 პირის მიმართ, ქრთამის მიცემის დანაშაულზე - 6 პირის მიმართ, სამსახურებრივი გულგრილობის და სამსახურებრივი სიყალბის დანაშაულებზე - ოთხ-ოთხი პირის მიმართ.

სასამართლოში წარმართვა სამოხელეო დანაშაულებზე
(2010 წლის მაისი)



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებიდან სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადების, გასაღების ან გამოყენების დანაშაულზე (40 პირი).

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი მმართველობის წესის
წინააღმდეგ მიმარტულ დანაშაულებზე
(2010 წლის მაისი)



ნაწილი 5 - სტატისტიკური ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების მიხედვით

5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

2010 წლის მაისში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1603 პირის მიმართ. აქედან 6.7%-მა (108 პირი) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (იხ. დანართი ცხრილი №7).

2010 წლის მაისის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით ამგვარია:



2010 წლის მაისში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში (666 პირი)*** და შეადგინა სულ დევნის დაწყების 41.5%, ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აღინიშნა ***სამცხე-ჯავახეთში (38 პირი)*** და შეადგინა სულ დაწყებული დევნის 2.4% (ცხრილი №8,9,10)

5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

2010 წლის მაისის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 25 პირის მიმართ. აქედან სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 16 პირის მიმართ (64%), ხოლო სხვა საფუძვლით - 9 პირის მიმართ (36%) (იხ. დანართი ცხრილი №7).

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა
(2010 წლის მაისი)



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში (11 პირი)*** და შეადგინა სულ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის 44%, ხოლო დაბალი მაჩვენებელი - ***კახეთში (1 პირი)*** და შეადგინა 4% სულ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელში (იხ. დართი ცხრილი №8,9,10)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები არ დაფიქსირებულა.

5.3 ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

2010 წლის მაისში ერთდროულად გამოძიება და დევნა შეწყდა 93 საქმეზე 103 პირის მიმართ. აქედან სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით შეწყდა 41 საქმე 47 პირის მიმართ, ხანდაზმულობით 5 საქმე 5 პირის მიმართ, ხოლო სხვა საფუძვლით - 47 საქმე 51 პირის მიმართ (იხ. დანართი ცხრილი №7).

ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები რეგიონებისა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მონაცემების მიხედვით ამგვარია:



ამრიგად, ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში,*** ხოლო დაბალი - ***შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში*** (ცხრილი №8,9,10)

5.4 სასამართლოში წარმართვა

2010 წლის მაისში სულ სასამართლოში წარიმართა 1186 საქმე 1386 პირის მიმართ. აქედან არსებითად განსახილველად წარიმართა 454 საქმე (38.3% სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში) 563 პირის მიმართ (40.6% სულ სასამართლოში წარმართულ პირთა რაოდენობაში), ხოლო წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა - 732 საქმე (61.7% სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში) 823 პირის მიმართ (59.4% სულ სასამართლოში წარმართულ პირთა რაოდენობაში) (იხ. დართი ცხრილი №7)

სასამართლოში წარმართული სისხლის სამართლის საქმეები
(2010 წლის მაისი)



2010 წლის მაისში არსებითად განსახილველად წარმართული საქმეებისა და წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული საქმეების პროცეტნული თანაფარდობა რეგიონების მიხედვით ამგვარია:



ამრიგად, 2010 წლის მაისში სასამართლოში წარმართული საქმეების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში (531 საქმე),*** ხოლო დაბალი - ***სამცხე-ჯავახეთში (35 საქმე)*** (იხ. დანართი ცხრილი №8,9,10)

წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული საქმეების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში*** (78.9% სულ თბილისის რეგიონის მიერ სასამართლოში წარმართულ საქმეებში), ხოლო დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა ***მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებში*** (25.3% სულ მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მიერ სასამართლოში წარმართულ სისხლის სამართლის საქმეებში).

ნაწილი 6 - არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები და არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები

6.1 არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები

2010 წლის მაისის თვეში სულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ იქნა 57 დანაშაული. აქედან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე მოდის 5.3% (3 დანაშაული), მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 42.1% (24 დანაშაული), ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 52.6% (30 დანაშაული).

არასრულწლოვან პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულები
კატეგორიების მიხედვით
(2010 წლის მაისი)



არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე მოდის 64.9% (37 დანაშაული), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიამრთულ დანაშაულებზე -21.1% (12 დანაშაული), ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე - 5.3% (3 დანაშაული), სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშულებზე - 3.5% (2 დანაშაული), ხოლო ნარკოტიკულ დანაშაულებზე, სატრანსპორტო დანაშაულებსა და მმართველობის წინაღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე - 1.8% (1 დანაშაული) (იხ. დანართი ცხრილი №6).

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშულები დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით
(2010 წლის მაისი)



არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით
(2010 წლის მაისი)



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია 1 განზრახ მკვლელობა და 1 დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან 2 დანაშაული მოდის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და 1 - ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებზე.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია 36 ქურდობისა და 1 ნივთის დაზიანება ან განადგურების დანაშაული.

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან 9 დანაშული მოდის 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლეობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე, ხოლო 3 დანაშაული ხულიგნობაზე.

ნარკოტიკული დანაშაულებიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა გადაზიდვა, გადაგზავნისა და გასაღების 1 დანაშაული.

სატრანსპორტო დანაშულებიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის 1 დანაშაული.

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ფიქსირდება მხოლოდ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი 1 დანაშაული. ეს დანაშაულია: წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოაგდოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენ,ლის მიმართ.

6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ

2010 წლის მაისში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 69 არასრულწლოვანის მიმართ. მათ შორის 1 არასრულწლოვანმა (1.4% დევნის დაწყებაში) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (იხ. დანართი ცხრილი №7).

2010 წლის მაისის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში*** (32 პირი, 46.4% სულ დევნის დაწყებაში), ხოლო დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა სამცხე-ჯავახეთში (3 პირი, 4.3% სულ დევნის დაწყებაში). ***აჭარაში, მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები არასრულწლოვანთა მიმართ არ დაფიქსირებულა*** (ცხრილი №8, 9, 10).



6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ

2010 წლის მაისში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 1 არასრულწლოვანის მიმართ. შეწყვეტის საფუძველია სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტი [11](იხ. დანართი ცხრილი №7).

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ თბილისის რეგიონში (1 პირი) (იხ. დანართი ცხრილი №8, 9, 10)

6.4 ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ

2010 წლის მაისში ერთდროულად გამოძიება და დევნა შეწყდა 6 საქმეზე 7 არასრულწლოვანის მიმართ. აქედან სსკ-ის28-ე მუხლის I ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით შეწყდა 2 საქმე 2 პირის მიმართ, ხოლო სხვა საფუძვლით 4 საქმე 5 პირის მიმართ (იხ. დანართი ცხრილი №7)

ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ დაფიქსირდა მხოლოდ თბილისსა (5 საქმე 6 არასრულწლოვანის მიმართ) და სამცხე-ჯავახეთში (1 საქმე 1 არასრულწლოვნის მიმართ) (ცხრილი №8, 9, 10)

6.5 არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სასამართლოში წარმართვა

2010 წლის მაისში სულ სასამართლოში წარიმართა 42 საქმე 54 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან არსებითად განსახილველად წარიმართა 8 საქმე (19% სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში) 11 პირის (20.4% სულ სასამართლოში წარმართულ პირთა რაოდენობაში) მიმართ, ხოლო წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა 34 საქმე (81% სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში) 43 პირის (79.6% სულ სასამართლოში წარმართულ პირთა რაოდენობაში) მიმართ (იხ. დანართი ცხრილი №7)

[11] არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება

სასამართლოში წარმართული საქმეები არასრულწლოვანთა მიმართ (2010 წლის მაისი)



2010 წლის მაისში არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად განსახილველად წარმართული საქმეებისა და წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული საქმეების პროცეტნული თანაფარდობა რეგიონების მიხედვით ამგვარია:



ამრიგად, როგორც მონაცემებიდან ვხედავთ, არასრულწლოვანთა მიმართ სულ სასამართლოში წარმართული საქმეების უმეტესობა მოდის ***თბილისზე*** (21 საქმე), ხოლო დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში (1 საქმე). არასრულწლოვანთა მიმართ საქმე სასამართლოში არ წარმართულა სამცხე-ჯავახეთისა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მიერ (იხ. დანართი ცხრილი №8, 9, 10).

წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული საქმეების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება ***დასავლეთ საქართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში*** (100% აღნიშნული რეგიონების მიერ სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში), ხოლო დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა ***აჭარაში*** (60% აღნიშნული რეგიონის მიერ სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში)

თავი III. სასამართლო სტატისტიკა[12]

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2010 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1355 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 46,8%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 52,8%-ს, პირადი თავდებობის - 0,4%-ს, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის - 0,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი № 11).

განხილული შუამდგომლობები



[12] ანგარიშის ეს ნაწილი მომზადებულია უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების მიერ.

სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 1055 შუამდგომლობა, ანუ 77,9%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 88,2%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 68,5%;

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება 11 შუამდგომლობაზე, ანუ 0,8%-ს;

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 289 შუამდგომლობა, ანუ 21,3% .

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2010 წლის მაისის თვეში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 52.4% (559), გირაოზე - 46.9% (500), პირად თავდებობაზე - 0.5% (5), არასრულწლოვანი ბრალდებულის

მეთვალყურეობაში გადაცემაზე - 0,1% (1) და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობაზე - 0,1% (1).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2010 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 1066 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 559, ანუ 52,4%, ხოლო არასაპატიმრო - 507, ანუ 47,6%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 98,6%.

საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიები



ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლისს სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2010 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ განხილულია 1504 საქმე 1785 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1477 საქმე, ანუ 98,3%, შეწყდა 20 საქმე, ანუ 1,3%, პროკურატურას დაუბრუნდა 7 საქმე, ანუ 0,5% (იხ. დანართი ცხრილი №12).

2010 წლის მაისში განაჩენის გამოტანით განხილული 1477 საქმიდან 1753 პირის მიმართ, საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 1190 საქმე (სულ განხილული საქმეების 80,6%) 1409 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 80,4%), არსებითი განხილვით დამთავრდა 287 საქმე (შესაბამისად 19,4%) 344 პირის მიმართ (19,6%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2010 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 287 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოვიდა 283 საქმეზე, ანუ 98,6%, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი იყო 4 საქმეზე, ანუ 1,4% (იხ. დანართი ცხრილი №13).

პირველი ისტანციის სასამართლოში არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები



2010 წლის მაისში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 368 პირიდან იმ პირთა ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 6,5%-ს, ნაწილობრივ გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი კი - 1,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი №14).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2010 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ საპროცესო შეთანხმებით შემოსული იყო 1125 სისხლის სამართლის საქმე 1329 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 1190 საქმეზე 1409 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში საბრალდებო დასკვნით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 33,4%-ს. საპროცესო შეთანხმებით შემოსული 728 საქმიდან პროკურატურას საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად დაუბრუნდა 3 საქმე, ანუ 0,4% (იხ. დანართი ცხრილი №15).

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2010 წლის მაისში სულ მსჯავრდებული 1752 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 810 პირს, ანუ 46,2%-ს;
- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 837 პირს, ანუ 47,8%-ს;
- ჯარიმა შეეფარდა 104 პირს, ანუ 5,9%-ს;
- გათავისუფლდა ამნისტიით ან სხვა საფუძვლით 1 პირი, ანუ 0,1%.



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2010 წლის მაისში სულ მსჯავრდებული 1752 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 93,3%, ხოლო ქალი 6,7%-ს.



ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 2,5%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 2,6%-ს; ჯგუფში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 19,0%-ს. რეგიონებში ჩადენილი დანაშაული შეადგენს 16,7%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 2,5% (იხ. დანართი ცხრილი №16).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 85 პირი, რაც შეადგენენ 4,9%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 359 პირი, ანუ 20,5%,

- 25-29 წლის ასაკის - 320 პირი, ანუ 18,3%,

- 30-49 წლის ასაკის - 812 პირი, ანუ 46,3%,

- 50 წლის ზევით ასაკის - 176 პირი, ანუ10,0%.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 150 პირი, ანუ 8,6%, საშუალო განათლების მქონეა 1113 პირი, ანუ 63,5%, უმაღლესი განათლების მქონეა 481 პირი, ანუ 27,5%, განათლების გარეშეა 8 პირი ანუ 0,4%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1752 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1316, ანუ 75,1%,
- სხვა მომუშავეა 122, ანუ 7,0%
- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 97, ანუ 5,5%,
- მოსწავლე ან სტუდენტია 82, ანუ 4,7%,
- კერძო მეწარმეა 42, ანუ 2,4%,
- საჯარო მოსამსახურეა 26, ანუ 1,5% და სხვა.



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 18,5%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2010 წლის მაისში მსჯავრდებული იყო 85 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს მაისის თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 4,9%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 81, ანუ 95,3%, გოგონა - 4, ანუ 4,9%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 37,6%, ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ სიმთვრალეში დანაშაული ჩადენილი აქვს თითო-თითო პირს, შესაბამისად 1,2%, ჯგუფში დანაშაული ჩადენილი აქვს 30 პირს, ანუ 35,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი №17).

2010 წლის მაისში სულ მსჯავრდებული 85 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 24 პირს, ანუ 28,2%-ს, პირობითი მსჯავრი 47 პირს, ანუ 55,3%-ს, ჯარიმა 14 პირს, ანუ 16,5%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 85 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 39 პირს, ანუ 45,8%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 8 პირს, ანუ 20,5%;

- განზრახ მკვლელობისათვის 7 პირს, ანუ 8,2%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 6 პირს, ანუ 85,7%;

- ყაჩაღობისათვის 6 პირს, ანუ 7,1%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 5 პირს, ანუ 83,3%;

- ხულიგნობისათვის 6 პირს, ანუ 7,1%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 16,7%;

- ძარცვისათვის 3 პირს, ანუ 3,5%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2 პირს, ანუ 66,7% და სხვა (იხ. დანართი ცხრილები №18,19).

მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა გადანაწილება დანაშაულთა სახეების მიხედვით



რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 36 არასრულწლოვანი, ანუ 42,4%;

- იმერეთის სასამართლოების მიერ- 12 არასრულწლოვანი, ანუ 14,1%;

- ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ - 12 არასრულწლოვანი, ანუ 14,1%;

- კახეთის სასამართლოების მიერ - 7 არასრულწლოვანი, ანუ 8,2%;

- აჭარის სასამართლოების მიერ - 7 არასრულწლოვანი, ანუ 8,2%;

- სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სასამართლოების მიერ - 3 არასრულწლოვანი, ანუ 3,5%;

- შიდა ქართლის სასამართლოების მიერ - 3 არასრულწლოვანი, ანუ 3,5%;

- გურიის სასამართლოების მიერ - 2 არასრულწლოვანი, ანუ 2,4%;

- მცხეთა-თიანეთის სასამართლოების მიერ - 2 არასრულწლოვანი, ანუ 2,4%;

- სამცხეთ-ჯავახეთის სასამართლოების მიერ - 1 არასრულწლოვანი, ანუ 1,2% (იხ. დანართი ცხრილი №20).

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გადანაწილება რეგიონების მიხედვით



10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2010 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1477 საქმე 1753 პირის მიმართ (მათ შორის 1 პირის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად). მსჯავრდებული 1752 პირის მიერ ჩადენილი იყო 2331 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 2621 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №21,22).

2010 წლის მაისში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 13,1%-ს, მძიმე დანაშაული - 24,1%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული - 62,8%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 2621 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 14,0%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 28,0%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 58,0%-ს.



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 88,8%-ს, პირობითი მსჯავრის 11 ,2%-ს;

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 61,5%-ს, პირობითი მსჯავრის 35,9%-ს, ჯარიმის 2,5%-ს;

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 39,1%-ს, პირობითი მსჯავრის 46,6%-ს, ჯარიმის 14,1%-ს;



2010 წლის მაისში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 121 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 5,2%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 180 სასჯელი, ანუ 6,9%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 83,3%-ს, პირობითი მსჯავრის - 15,0%-ს, ჯარიმის - 1,7%-ს.

ძალადობრივი დანაშულებისათვის დანიშნული სასჯელები



მაისში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,9%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 1,9%-ს (იხ. დანართი ცხრილი №22).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 29,2% (681), შემდეგ მოდის ნარკოტიკულ დანაშაულზე - 26,5% (617), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 11,7% (273), ფულად-საკრედიტო სისტემაში არსებულ დანაშაულზე - 9,3% (217), სატრანსპორტო დანაშაულზე - 3,5% (83), სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ დანაშაულზე - 3,0% (71) და სამოხელეო დანაშაულზე - 1,7% (40).

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა



2010 წლის მაისში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 2621 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 52,3%-ს (1371);
- პირობითი მსჯავრი 38,6%-ს (1014);
- ჯარიმა 8,9%-ს (233);
- თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 0,04%-ს (1);
- სასჯელისაგან გათავისუფლდა ამნისტიით ან სხვა საფუძვლით 0,1% (2).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2010 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 1490, ანუ 56,8% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, აჭარის რეგიონზე - 257, ანუ 9,8%, იმერეთზე - 217, ანუ 8,3%, ქვემო ქართლზე - 160, ანუ 6,1%, კახეთზე - 143, ანუ 5,5%, სამეგრელო-ზემო სვანეთზე 139, ანუ 5,3% (იხ. დანართი ცხრილი №23).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით





თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: იმერეთზე -61,8%, აჭარაზე - 60,3%, თბილისზე - 54,4%, ქვემო ქართლზე 53,7%, გურიაზე - 53,5% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: სამცხეთ-ჯავახეთზე - 79,4%, მცხეთა-თიანეთზე - 56,7%, სამეგრელო-ზემო სვანეთზე - 48,9%, კახეთზე 51,0%, გურიაზე - 41,9%, თბილისზე - 37,9% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: სამეგრელო-ზემო სვანეთი - 16,5%, აჭარა - 14,4%, ქვემო ქართლი 11,9%, სამცხეთ-ჯავახეთი - 11,8% და სხვა.

თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა[13]

ნაწილი 11 – სასჯელაღსრულების დეპარტამენტი - სტატიკური მონაცემები

11.1 პატიმართა და მსჯავრდებულთა ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების რაოდენობა დაწესებულებებში

სქესობრივ და ასაკობრივ კატეგორიებში მსჯავრდებულთა და პატიმართა ოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან მამაკაცებზე მოდის - 94.91%. 18-დან 45 წლამდე ასაკის მსჯავრდებულების რაოდენობა (17006 ადამიანი) მთლიანი რიცხვის 76%-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ პატიმართა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები ასაკობრივ და სქესობრივ ჭრილში, სადაც უფრო დაწვრილებით არის ნაჩვენები ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №24).

პატიმართა საერთო რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში



ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ხანდაზმული მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდებიან (შესაბამისად 1% და 2 %-ის ოდენობით).

[13] ანგარიშის ეს ნაწილი მომზადებულია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტატისტიკურ-ანალიტიკური სამმართველოს მიერ.

პატიმართა საერთო რაოდენობა სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში



11.2 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 2010 წლის მაისისთვის მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობის (20307) უმეტესობას მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები შეადგენენ (სულ 8302 პირი, რაც სრული რაოდენობის 40.9%-ს უდრის). დიდი ხვედრითი წილი აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულების რაოდენობასაც (7584) – 37.3%. ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ამ დროისათვის სასჯელს სულ 4421 პირი იხდის, რაც სრული რაოდენობის 21.8%-ის ტოლია (იხ. დანართი, ცხრილი №25).

მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით



11.3 მსჯავრდებულთა რაოდენობა რეჟიმის მიხედვით

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მაისის თვეში აღრიცხული 19660 მსჯავრდებულიდან, რომელთაც რეჟიმი უკვე განსაზღვრული ჰქონდათ, ყველაზე მეტი - 12501 მსჯავრდებული (მთლიანი რაოდენობის 63.6%) სასჯელს მკაცრი რეჟიმის ქვეშ იხდის, 7073 მსჯავრდებული (მთლიანი რაოდენობის 36%) - საერთო რეჟიმის ქვეშ, საპყრობილის რეჟიმი სულ 86 მსჯავრდებულს აქვს შეფარდებული (მთლიანი რაოდენობის 0.4%), (იხ. დანართი, ცხრილი №26).



11.4 მსჯავრდებულთა და პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შეფარდებით

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა და მსჯავრდებულთა შევსების ლიმიტების დამტკიცების თაობაზე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 1 ივნისის №242 ბრძანებით დადგენილია პატიმართა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. რეალური რაოდენობის შედარება ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეული დაწესებულებასთან მიმართებაში.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას დაქვემდებარებულ 18 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 21496 შეადგენს. მაისის მონაცემებით პატიმართა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (22340) ამ ზღვარს 844 ადამიანით ანუ დაახლოებით 4%-ით აჭარბებს.

11.5 უცხოელი პატიმრები და მსჯავრდებულები

უცხოელი პატიმრებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის დათვლა ამ ეტაპზე მხოლოდ დაწესებულებების მიხედვით ხდება.

საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მოთავსებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რიცხვის მაისის ბოლოსთვის 344 იყო (მათგან 3 ორმაგი მოქალაქეობით). ქვემოთ სქემაზე მოცემულია უცხოელ მოქალაქეთა საერთო რაოდენობის პროცენტული შემადგენლობა (იხ. დანართი, ცხრილი №27).

უცხოელ პატიმართა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა 344



როგორც ამ სქემიდან ჩანს უცხოელთა უმრავლესობას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ. მათგან უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანზე, რუსეთსა და სომხეთზე მოდის (შესაბამისად 20.9%, 18.9% და 14.5%). დიდი ხვედრითი წილი უკავიათ ასევე თურქეთის მოქალაქეებსაც (16.3%).

11.6 ბრალდებულები

2010 წლის მაისის თვეში 6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სულ 2033 ბრალდებული ირიცხებოდა. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28).

ბრალდებულთა საერთო რაოდენობა 2033



ნაწილი 12. დინამიკური მონაცემები

12.1 სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პატიმართა და მსჯავრდებულთა რაოდენობა თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) შეწყვეტის ფორმის მიხედვით

2010 წლის მაისში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 538 პატიმარი და მსჯავრდებული. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია გათავისუფლებულ პირთა საერთო რაოდენობა თ/ა შეწყვეტის ფორმის მიხედვით 2010 წლის მაისის თვისთვის (იხ. დანართი, ცხრილი №29).

გათავისუფლებულ პატიმართა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა 538



(პვგ - პირობით ვადამდე გათავისუფლება)

როგორც ვხედავთ თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შეწყვეტის უდიდესი წილი კალენდარულსა (47.8%) და პირობითი მსჯავრის საფუძველზე გათავისუფლებაზე მოდის (19.7%). მაისის თვეში ყველაზე ნაკლები ადამიანი (გათავისუფლებულთა 0.4%) სასჯელის გადავადების საფუძველზე გათავისუფლდა.

შემდეგ დიაგრამაში მოცემულია მაისში გათავისუფლებული პირების რაოდენობა სქესობრივი და ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რაც როგორც სხვა შემთხვევებში, დაწესებულებების მიხედვით დგინდება (იხ. დანართი, ცხრილი №29).



12.2 რესოციალიზაცია

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ხორციელდება. ამ მიზნით ხდება თითოეულ პროგრამაში ჩართული მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებში.

2010 წლის მაისისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სულ 430 მსჯავრდებული იყო ჩართული სხვადასხვა რესოციალიზაციის (ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, საგანმანათლებლო, სახელობო, არტ-თერაპიის, სპორტული, შრომით) პროგრამაში. ყველაზე დიდი ადგილი აღნიშნულ პროგრამებში ქვემოთ მოცემული მაჩვენებლის მიხედვით ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას უკავია, რომელიც საანგარიშო პერიოდში 10 დაწესებულებაში 127 პირისთვის ხორციელდებოდა. დიდი ადგილი ეთმობოდა ასევე ზოგადსაგანმანათლებლო, სახელობო და სპორტული აქტივობის პროგრამებს (ამ უკანასკნელს – ძირითადად არასრულწლოვნების მიმართ).

დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება. როგორც უკვე ითქვა ყველაზე დიდი წილი – საერთო

რაოდენობის 29.5% ფსიქო-სოციალურ პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულებზე მოდის (იხ. დანართი, ცხრილი №30).



არასრულწლოვანთა კონტიგენტი რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს - დაახლოებით 61%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №30).



12.3 დისციპლინური ღონისძიებები

2010 წლის მაისის თვეში დისციპლინური ღონისძიება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში 512-ჯერ იქნა გამოყენებული, მათგან 93-ჯერ საყვედურის გამოცხადებით (მთლიანი რაოდენობის 18%), 419-ჯერ კარცერში ჩასმით (მთლიანი რაოდენობის 82%).

12.4 დაწესებულებებს შორის პატიმართა და მსჯავრდებულთა მოძრაობა

2010 წლის მაისში სად-ის სასჯელაღსრულებით სისტემაში სულ 1488 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. ყველაზე დიდი წილი - 71.8% გადაყვანილ იქნა სხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 9.5% სამკურნალო დაწესებულებაში, 8.5% - საპყრობილეში, 7.8% - ტუბ. დაწესებულებაში, ხოლო 2.4% - სავადმყოფოში (იხ. დანართი, ცხრილი №31).



12.5 კრიმინოგენული მდგომარეობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი სასჯელაღსრულების სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის სსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. ამას გარდა კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები ფაქტებისა და პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით მაისში სასჯელაღსრულებით სისტემაში მომხდარმა გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ 55 შეადგინა. ამ ინფორმაციის მიხედვით 55 დანაშაულიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი 118-ე მუხლით ჩადენილ ქმედებაზე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მოდის. მაისში ამ მაჩვენებელმა 40 ერთეული ანუ მთლიანი რაოდენობის 72.7% შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია მაისის თვეში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №32).

2010 წლის მაისის თვეში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩადენილი ფაქტები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება



შემდეგი სქემა უჩვენებს ჩადენილი ფაქტების რაოდენობას თითოეული დაწესებულებისთვის. როგორც ვხედავთ მაისში ჩადენილი 55 ქმედებიდან ყველაზე მეტი – 11 ერთეულის ოდენობით რუსთავის №6 დაწესებულებაში იქნა ჩადენილი, ყველაზე ცოტა - 1 ერთეული ჩადენილ იქნა რუსთავის №1, ქსნის №7, გეგუთის №8 დაწესებულებებში და ერთიც დაწესებულებებს გარეთ (იხ. დანართი, ცხრილი №32).



მაისში გამოძიება ჩადენილ ფაქტზე სულ 53 პირის მიმართ დაიწყო. გამოძიების ობიექტი ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას – 45%-ს 25-35 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ (24 პირი). გამოსაძიებელი ფაქტების ყველაზე ნაკლები რაოდენობა 18-დან 25 წლამდე კატეგორიაზე მოდის 13%-იანი მაჩვენებლით. ქვემოთ ნაჩვენებ სქემაზე ასახულია 2010 წლის მაისში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება[14] (იხ. დანართი, ცხრილი №33).

[14] 24,379, 151 და 3782 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე გამოძიება პირის გარეშე მიმდინარეობს. რაც შეეხება 118-ე მუხლს, გამოძიება დაწყებულია 40 საქმეზე, მათ შორის 1 საქმეზე 2 პირის მიმართ.



ნაწილი 13 - სამედიცინო მდგომარეობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში

13.1 დაავადებები

სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით 2010 წლის მაისში ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად გამოვლენილი დაავადებულების საერთო რიცხვი 3949-ს გაუტოლდა. ქვემოთ მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია დაავადებულთა ხვედრითი წილი კონკრეტული დაავადების მიხედვით. დიაგრამის მარჯვენა მხარეს განთავსებულ ჩამონათვალში ყველა დაავადების დასახელებას მიწერილი აქვს ავადმყოფთა შესაბამისი რაოდენობა ციფრებში. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

ამ სქემიდან ნათელია, რომ სასჯელაღსრულებით სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე მეტი – 33.2% სტომატოლოგიურ დაავადებებზე მოდის. ასევე ყველაზე მეტად გავრცელებულია სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების დაავადებები შესაბამისად 17.6% და 11.3% ხვედრითი წილით (იხ. დანართი, ცხრილი №34).



დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით, დაახლოებით 94%-ით, სრულწლოვანი მამაკაცები არიან წარმოდგენილი. სრულწლოვანი მდედრობითი სქესის წარმომადგენლები დაავადებულთა 5%-ს შეადგენენ. არასრულწლოვან დაავადებულთა რაოდენობა 46-ია, რომელთაგან 1 მდედრობითი სქესისაა. მათი საერთო ხვედრითი წილი მთლიანი რაოდენობის დახლოებით 2% უტოლდება (იხ. დანართი, ცხრილი №35).

დაავადებები მამრობითი სქესის სრულწლოვან პატიმრებში



დაავადებები მდედრობითი სქესის სრულწლოვან პატიმრებში



სტომატოლოგიური დაავადებების შემდეგ, რომლებიც ყველაზე გავრცელებულია სამივე კატეგორიაში, მდედრობითი სქესის პატიმრებსა და მსჯავრდებულებში ყველაზე მეტად გრძნობათა ორგანოებისა და ნერვული სისტემის დაავადებებია გავრცელებული, თუმცა მათი ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სტომატოლოგიური დაავადებების მაჩვენებელს (67%). ზრდასრულ მამაკაცებში ნერვული სისტემის დაავადებებთან ერთად ასევე ჭარბობს სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები.

შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს სრულწლოვანი ქალებისა და მამაკაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს სრულწლოვან დაავადებულთა საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №35).



მომდევნო სქემაზე აღნიშნულია არასრულწლოვან დაავადებულთა რაოდენობა დაავადების კატეგორიის მიხედვით.



როგორც ვხედავთ სტომატოლოგიური დაავადებების (26%) შემდეგ არასრულწლოვან პატიმრებში ყველაზე მეტად გრძნობათა ორგანოებისა და ნერვული სისტემის დაავადებებია გავრცელებული დაავადებულთა შესაბამისად 24% და 22% -იანი მაჩვენებლებით.

13.2 მკურნალობა

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში თვეებისა და გაწეული სამედიცინო დახმარების ტიპის მიხედვით აითვლება.

ამბულატორიული ვიზიტებისა და მკურნალობის გარდა, რომლითაც მაისში 29286 პატიმარმა და მსჯავრდებულმა ისარგებლა, სასჯელაღსრულებით სისტემაში 1150-ჯერ იქნა გაწეული პირველადი სამედიცინო შემოწმება, ხოლო 59-ჯერ სასწრაფო და გეგმიური ქირურგიული დახმარება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2010 წლის მაისში გაწეულ სამედიცინო დახმარების ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №36).

სამედიცინო დახმარება სასჯელაღსრულების სისტემაში 2010 წლის მაისის მდგომარეობით



ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია სტაციონარული მკურნალობის მიმდინარეობის მაჩვენებელი სად-ის სისტემისა და სამოქალაქო სექტორის სამკურნალო დაწესებულებებში, საიდანაც ჩანს, რომ სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პირთა უმეტესობა - 85% სად-ის სამკურნალო დაწესებულებებზე მოდის (იხ. დანართი, ცხრილი №36).

სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფთა რაოდენობა 297



შემდეგი სქემა სტომატოლოგიური მკურნალობის მიმდინარეობისას გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარების მიმდინარეობის მაჩვენებელს ასახავს.



რაც შეეხება სამედიცინო გამოკვლევებს, მაისის თვეში ჩატარდა 4 ტიპის გამოკვლევა შიდსზე, ტუბერკულოზზე, ჰეპატიტებსა და ვენერიულ დაავადებებზე, მათგან ყველაზე დიდი მაჩვენებელი რაოდენობით - 6105 ტუბერკულოზზე მოდის (იხ. დანართი, ცხრილი №36).



სამკურნალო სარეაბილიტაციო პროგრამებში 2010 წლის მაისის თვეში სულ 196 ჩართული მსჯავრდებული დაფიქსირდა. მათგან უმრავლესობა 118 პირი (60%) ტუბერკულოზის სამკურნალო ”DOTS” და ”DOTS”+ პროგრამებშია ჩართული, 51 (26%) – ’’აივ” ინფექცია შიდსის ანტირეტროვირუსულ პროგრამაში, 25 (13%) – ”მეტადონით” დეტოქსიკაციის პროგრამაში, 2 (1%) - შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში. ქვემოთ მოცემული სქემა ამ მდგომარეობას ნათლად ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №36).



13.3 გარდაცვალება

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაცვალების ფაქტები აღირიცხება გარდაცვალების ადგილის მიხედვით, რაზედაც დგება ყოველთვიური ფორმა.

2010 წლის მაისში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული 9 პირი გარდაიცვალა, (6 – პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, 2 - №3 დაწესებულებაში, 1 - №1 საპყრობილეში).

14.1 პრობაციონერთა რაოდენობა

პრობაციონერთა რაოდენობის სტატიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით ითვლება ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებში და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით. პრობაციონერთა საერთო რაოდენობით რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა თბილისი მთლიანი რაოდენობის 38%-ით, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად იმერეთი (14%) და აჭარა (9%). პრობაციონერთა ყველაზე მცირე რაოდენობა - 300 კაცი (მთლიანი რაოდენობის 1%) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონშია (იხ. დანართი, ცხრილი №43).

პრობაციონერთა საერთო რაოდენობა 29645



მთელი ქვეყნის მასშტაბით პრობაციონერთა სქესობრივ და ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა (91.35%) სრულწლოვანი მამაკაცებით არის წარმოდგენილი. სრულწლოვანი ქალი პრობაციონერების რიცხვი 2038-ია, რაც მთლიანი რაოდენობის 6.87%-ს შეადგენს. არასრულწლოვანი მამაკაცები საერთო რაოდენობის 1.69%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ქალები 0.08%-ს შეადგენენ (იხ. დანართი, ცხრილი №43).

პრობაციონერთა სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფები 2010 წლის მაისის მდგომარეობით



შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ქვეყანაში პრობაციონერთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრდებულ პირებზე მოდის (სრული რაოდენობის 84.9%), ყველაზე ნაკლები - სრული რაოდენობის 0.6% - სასჯელის მოხდაგადავადებულ პირებზე.

პრობაციონერთა საერთო რაოდენობა 29645



როგორც ზემოთა სქემიდან ჩანს პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა (პირობით მსჯავრდებულები, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებულები და თავისუფლების აღკვეთის შემდგომ საპრობაციო ვადადანიშნული პირები) რაოდენობა შეადგენს ზოგადად არაპატიმარ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა მთლიანი რაოდენობის ძირითად მასას, რაც თითქმის 97%-ს უტოლდება (იხ. დანართი, ცხრილი №44).

ნაწილი XV - დინამიკური მონაცემები

მაისის თვეში არასაპატიმრო და პირობითი მსჯავრის შესახებ გადაწყვეტილება სულ 1363 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. თვიურ დინამიკურ მაჩვენებელში 1363 პრობაციონერიდან და არაპატიმარი მსჯავრდებულიდან 96.5%-ს პრობაციონერები (პირობით მსჯავრდებულები, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებულები და თავისუფლების აღკვეთის შემდგომ საპრობაციო ვადადანიშნული პირები) წარმოადგენენ. შემდეგ სქემაში ასახულია მაისის თვეში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №45).



დინამიკური მაჩვენებელი 2010 წლის მაისის თვისთვის ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებში (იხ. დანართი, ცხრილი №46).



დასრულებული საქმეები:

2010 წლის მაისში დასრულებული საქმეები, დასრულების საფუძვლის მიხედვით ასე ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №47).



დასრულებული საქმეები პრობაციონერთა სქესობრივ და ასაკობრივ ჯგუფებში ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №48).

დასრულებულ საქმეთა საერთო რაოდენობა 819



დასრულებული საქმეების რაოდენობა რეგიონულად



დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი უსწრებს იმერეთს და თბილისის შემდეგ 9.3%-ით მეორე ადგილი უკავია (იხ. დანართი, ცხრილი №47).